საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია
მთავარ კომიტეტის ორგანო.

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამკლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 300,000 მ.; უკანასკნელზე 200,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 190
ოთხშაბათი, 12 აპრილი
1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური გაზეთი
ტრიბუნა
ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.
1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 120,000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.
უფასოდ გაზეთი არავის გაეგზავნება.
ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან,
რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

დამწუხრებულნი მშობლები მღვდელი სპირიდონი და ვარდო იოსების ასული, და და ძმები: აგრაფინა, მელქისედეკი, სევერიანე და ივანე; რძლები: მარია მინას ასული და პოლმანოდი ყირიმის ასული კანდელაკები; ძმისწულები და დისწულნი: ოთარი, თენგიზა, მარო და სიძე მიხეილ ნიკოლოზის ძე ტიმოფეევი აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგებს და ნაცნობებს, პირველნი საყვარელ შვილის, მეორენი ძმის და მესამენი ბიძის სახელმწიფო უნივერ. საქიმო ფაკულტეტის მე-IV კურ. სტუდენტი

აბიათარ (აბო) სპირიდონის ძე

კანდელაკის

უდროოდ დაკარგვას. პანაშვიდები საკუთარ ბინაზე, დავითის ქ. № 5 ბ. № 4 ყოველ დღეს, საღამოს 5 საათზე. გამოსვენება და დასაფლავება ივერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ხუთშაბათს აპრილის 13-ს, დღის 4 საათზე.

246

პარასკევს აპრილის 14 ს საღამოს 6 საათზე

სახელმწიფო ოპერის შენობაში შესდგება

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმის, ტფილისის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმის, საქართველოს პროფესიონალურ კავშირის პლენუმის საქარხნო კომიტეტების და ტფილისის გარნიზონის წარმომადგენლების

შეერთებული საზეიმო სხდომა

დღის წესრიგი: მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი
თ. კალანდაძე.

ყარსის ხელშეკრულება და საქართველოს ინტერესები

დღეს გაიხსნება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესია. სხვა საინტერესო და მნიშვნელოვან კითხვათა შორის სესიამ უნდა განიხილოს ყარსის ხელშეკრულება, რომელიც დასდვა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა საბჭოთა რუსეთთან ერთად ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების წარმომადგენლებთან 1921 წლის ოქტომბრის რიცხვებში.

ჩვენმა პრესამ თავის დროზე აღნიშნა ამ ხელშეკრულების ავი და კარგი; შეაფასა იგი და საერთო პოლიტიკური, ეკონომიური და სტრატეგიული საზომით ჩვენ მაშინ აღვნიშნეთ, რომ ხელშეკრულების ძირითადი მუხლები, განსაკუთრებით ტერიტორიის გადამიჯვნის საკითხში, პირდაპირ საზიანო არის საქართველოსა და სომხეთის ხალხის ინტერესებისათვის. (იხ. „ტრიბუნა" № 54,55 1921 წ. წერილი: „ყარსის ხელშეკრულება").

დღეს, როცა ხელმეორედ იხილება ამ ხელშეკრულების შესახებ საკითხი საქართველოს უმაღლეს ორგანოში, ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით ამას და გვინდა ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ ის არასასურველი შედეგები, რომელიც მოჰყვება ამ ხელშეკრულებას.

ჩვენთვის ნათელი და გარკვეული იყო ყოველთვის და დღესაც ეს უდავო ჭეშმარიტებას წარმოადგენს, რომ საქართველომ უნდა შესძლოს ყოველის მხრით მტკიცე ზავისა და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება ყველა მეზობლებთან. მაგრამ ეს შეთანხმება და სოლიდარობა უნდა იყოს აგებული ურთიერთ დამოკიდებულება და ინტერესთა გაგების ნიადაგზე. ჩვენ ვერ მივიღებთ ისეთ ხელშეკრულებასა და დამოკიდებულებას, რომელიც ლახავს ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს და პირდაპირ მის საზიანოდ არის შემუშავებული. ყარსის ხელშეკრულება საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული და მისი მიღება ყოვლად შეუძლებელია.

ისტორიული ცხოვრების ვითარებაში ქართველი ხალხი წარმოადგენდა ოსმალეთის გაუმაძღარ ფაშებისა და ბეგების იმპერიალისტური მიზნების ობიექტს. ჩვენ ხალხს ოსმალების აგრესიული პოლიტიკის მრავალი გამანადგურებელი მაგალითები ახსოვს და დღესაც ნაწვავად ვგრძნობთ მის დამღუპველ შედეგებს. ოსმალეთს არ აუღია ხელი თავის იმპერიალისტურ პოლიტიკაზე არც დღევანდელ პირობებში და სცდილობს გემრიელი ლუკმა ჩაიგდოს ხელში თავის ჩრდილოეთ აღმოსავლეთის მეზობლების ხარჯზე.

ოსმალეთთან მტკიცე და კანონიერი ურთიერთობის განმტკიცება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ქართველი ხალხისათვის. ამ ახალმა ურთიერთობამ უნდა გამოასწოროს ისტორიული უკუღმართობის მიერ შექმნილი შედეგები და დაუბრუნოს ქართველ ხალხს თავისი ბუნებრივი ნაწილი, თავისი განუყოფელი მიწა-წყალი.

როგორ სჭრის ამ დიადსა და კარდინალურ კითხვას ყარსის ხელშეკრულება, როგორს ურთიერთობას ქმნის საქართველოსა და ოსმალეთს შორის?

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ პირდაპირ საზიანოსა და დამღუპველს საქართველოს ინტერესებისათვის.

დიდი ნაწილი საქართველოს ტერიტორიის გადადის ოსმალეთის სუვერენულ უფლებების ქვეშ. ართვინისა და არტანუჯ არტაანის მხარეებს გარდა ოსმალეთის ხელში გადადის ბათომის მხარის მოზრდილი ნაწილი დაწყებული ს. სარფიდან შავშეთამდე; ასე, რომ საჰაერო მანძილი ქ. ბათომიდან ოსმალეთის საზღვარი არის მე 12 ე. ვერსზე. გარდა ამისა ოსმალეთის სრული საკუთრება ხდება ახალციხის მაზრის ფოცხოვის რაიონი.

ეს არის ერთი მხარე ხელშეკრულებისა, რომელიც ტერიტორიის გადამიჯვნის საკითხს შეეხება. თუ ჩვენ სერიოზულად ავიღებთ იმ ტერიტორიას, რომელიც ხელშეკრულებით გადადის ოსმალეთის ხელში, იგი უფრო დიდი არის ელზას ლორენზე.

ტერიტორიის ასეთი გადამიჯვნა ყოვლად მიუღებელი არის ჩვენთვის. ამ აქტით ჩვენ იძულებული ვხდებით ხელი ავიღოთ ისეთს ტერიტორიალურს ერთეულებზე, რომელიც განუყოფელი არის ჩვენი ეროვნული სხეულისათვის და რომელიც დიდ ინტერესს წარმოადგენს პოლიტიკურის და სტრატეგიულის მოსაზრებით.

პოლიტიკურად ამ ტერიტორიის დაკარგვა ძირის ქართულ ელემენტების დენაციონალიზაციას, მისი გადაგვარებისათვის პირობების შექმნას. თავი რომ დავანებოთ ართვინ-არტაანის ოლქებს, სადაც ენის მხრივ ოსმალეთმა შესძლო თავისი ბატონობის განმტკიცება, ხელშეკრულებით ოსმალეთი ეპატრონება ბათომის ტერიტორიის შუა სექტორს, რომელთაც ქართული ენა არის უმთავრესად ხმარებაში. იმერხევის, ლივანის, ზემო მაჭახლის, ბორჩხის ქართულად მოლაპარაკე რაიონები გადადის ოსმალეთის ხელში. ოსმალეთის მთავრობას საშუალება ეძლევა ამ რაიონებში თავისი პოლიტიკის ბატონობის განმტკიცებით, კვლავ განაგრძოს თავისი ისტორიულად შემუშავებული ასიმილაციის პოლიტიკა და ქართული ელემენტების გადაგვარების შედეგები. ჩვენ აქ არა მარტო ტერიტორიას ვკარგავთ, არამედ ნაციის დიდი ნაწილის გადაგვარებისათვის ვქმნით ხელსაყრელ პირობებს.

ეკონომიურად ზემო აღნიშნულ რაიონების დაკარგვა პირდაპირ საზიანო არის ჩვენი რესპუბლიკისათვის. ჩვენი საზოგადოების დიდმა ნაწილმა ჯერ კიდევ არ იცის, თუ როგორი დიდ ეკონომიურ ღირებულებას წარმოადგენს საქართველოსათვის ბათომის ოლქი და განსაკუთრებით მისი შუა სექტორი. ჩვენში სპილენძის მადნეულობა არის ბათომის ოლქში და ბორჩალოს მაზრაში ბორჩალოს მაზრის ალავერდის სპილენძის მადნის რაიონი სავსებით გადაეცა სომხეთს. რაც შეეხება ბათომის ოლქს, აქ ეს წარმოება განვითარებული იყო მურღულისა და კვარცხანის რაიონებში. რომელნიც ყარსის ხელშეკრულებით გადადის ოსმალეთის უფლებაში. მურღულისა და კვარცხანის სპილენძის მადნეულობა უდიდეს სიმდიდრეს წარმოადგენდა არა მარტო ბათომისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის მადნის სიმრავლითა და ხარისხით. აქვე არის ორი სუკეთესო ქარხანა ამერიკული ტიპისა,—ერთი ძანსულის ინგლის-ამერიკული საზოგადოებისა და მეორე კვარცხანის, ეს ქარხნები მოწყობილი არიან ისე, რომ თვითეული მათგანს შეუძლიან მოგვცეს წლიურად არა ნაკლებ 200,000 ფუთი მადანისა. მკითხველს შეუძლიან შესაფერისი დასკვნა გამოიტანოს, თუ რამდენად საზიანო არის ეკონომიურად ისედაც ჩამორჩენილ საქართველოსათვის ასეთი დიდი სიმდიდრის რაიონების დაკარგვა.

სტრატეგიულის მოსაზრებით ამ ტერიტორიების ოსმალეთის ხელში გადაცემა დიდს საფრთხეში აგდებს მთელ ამიერ კავკასიის არსებობას. ყარსი, არდაგანი და ართვინი შემოსასვლელი კარებია ამიერკავკასიისათვის და ვის ხელშიაც ეს პუნქტები იქნება, მას საშუალება ეძლევა ყოველ შესაფერის მომენტში დიდ საფრთხის წინაშე ჩაგვაყენოს. გარდა ამისა ბათომის შუა სექტორის გადაცემით თვით ქ. ბათომი ვარდება სტრატეგიულად არა ხელსაყრელ პირობებში. ეს სექტორი წარმოადგენს აუცილებელ პირობას ბათომის დაცვის საქმეში. ჭოროხის ვიწრო გასავალი არის ბუნებრივი საფარი ბათომის დასაცავად. ამ ბუნებრივ საფარზე ხელის აღებით ჩვენ ბათომს [illegible]. ახალციხის მაზრის მხრივ ოსმალეთის ხელში გადადის ფოცხოვის რაიონი. რომელიც ბუნებრივი ნაწილია ახალციხისა და მის გასაღებ კარებს წარმოადგენს.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ქემალ-ფაშის ოსმალეთი არაფრით განირჩევა თავის იმპერიალისტურს მიზნებში ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მეზობლების მიმართ, უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი სტრატეგიული პუნქტების დაკარგვა და ისიც ხელშეკრულების დასატურებით, აუცილებლად ძლიერ საზიანო არის ჩვენი წარმატებისათვის.

ამგვარად ჩვენ განვიხილეთ ოსმალეთთან დადებული ხელშეკრულება და იქ გატარებული სადემარკაციო ხაზი პოლიტიკურის, ეკონომიურისა და სტრატეგიულის მხრით და არც ერთს ამ შემთხვევაში საქართველოს ინტერესები არ არის დაცული, იგი მას საზიანოდ არის მიმართული.

მაგრამ ხელშეკრულება ამით არ თავდება და ნურავის ჰგონია, რომ თვით ბათომის ოლქისა და ქალაქის ბედი ჩვენდა სასარგებლოდ არის გადაწყვეტილი. ამ მხრით ორაზროვნებით არის სავსე. ოსმალეთი საქართველოს უთმობს ბათომის ოლქზე სუზერენიტეტს.

მაგრამ ხელშეკრულების პირველ მუხლში გამოთქმულ მოსაზრებით მჟღავნდება, რომ ეს ტერიტორია ოსმალეთის საკუთრებას წარმოადგენს. ეს ნათლად გარკვეულით გამოთქვა ოტომანების დეპუტატთა პაქტმა 1920 წელში, რომელიც ყარსის ხელშეკრულებაში შედის, როგორც ერთი მუხლთაგანი ოსმალეთის ტერიტორიის მოსახაზავად. ამ გვარად ხელშეკრულება ბათომის ოლქს ოსმალეთის საკუთრებად აღიარებს; უკანასკნელი ჩვენ გვითმობს მხოლოდ სუზერენიტეტს ამ მხარეზე. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ოსმალეთს ხელშეკრულებაში შეაქვს ისეთი მუხლები, რომელნიც ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევას აღიარებს. იგი მოითხოვს ბათომის ოლქისათვის ფართო ავტონომიას და მიწის საკითხის გადაჭრას ადგილობრივ პირობების მიხედვით.

შესაძლებელია თუ არა ქართველმა ხალხმა ხელი მოაწეროს ასეთს ხელშეკრულებას? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა.

ხელშეკრულების ზერელად განხილვაც ნათელს ყოფს, რომ ის ჩვენი ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული და პირდაპირ დამღუპველი არის ჩვენი მომავლისათვის.

საქართველოს თანამედროვე საშინაო საგარეო მდგომარეობა არ მოითხოვს ხელი მოაწეროს ასეთს სამარცხვინო ხელშეკრულებას.

სიმ. ხუნდაძე.

გენუა და ამერიკა

მსოფლიო ცხოვრების მესაჭეების, გამარჯვებულ და დამარცხებულ ქვეყნების ფიქსაციის მთავარ წერტილს გენუა წარმოადგენს. გენუაში რაღაც ბიბლიური სასწაული უნდა მოხდეს: შურით და მტრობით გაჟღენთილი კაპიტალისტური და არა კაპიტალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლები იქ შეხვდებიან ერთმანეთს და ვინ იცის, როგორის ბედისწერით დამთავრდება მათი დიპლომატიური საქმიანობა: მართლა ზავი და მშვიდობა, „კაცთა შორის სათნოება" წამოწვება დაქანცულ მსოფლიოს სარეცელზე, თუ ომის და შურისძიების ღმერთი— კვლავ მოევლინება საერთაშორისო ცხოვრებას.

გენუას კონფერენციის მოწვევის ინიციატივა ანტანტას ეკუთვნის, „გამარჯვებულ" ანტანტის სახელმწიფოებს. არც შეიძლება სხვა ვინმე გამოსულიყო ამ როლში. შეერთებულ შტატებმა სცადა შეურიგებელთა შერიგება. ვაშინგტონში თავი მოუყარა ბურჟუაზიული სამყაროს გოლიათებს, მაგრამ უშედეგოდ ჩაიარა მისმა „განწირულ სულისკვეთებამ". ვაშინგტონი მოგვევლინა არა ფანტასტიურ—მითიურ, არამედ ნამდვილ ისტორიულ გოდოლად. მსოფლიო ყაჩაღებმა ვერ გამონახეს საერთო ენა, საერთო აზრი, საერთო გზა. უწმინდური სული მოეფინა მათ. ამერიკამ ვერ უშველა სამარის პირისაკენ წაქანებულ ევროპის მომაკვდავ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს.

„ანტანტის განთავისუფლება—ანტანტის საქმეა!" ეს ლოზუნგი წამოაყენა იტალიამ. ამით იწყება ახალი ერა ბურჟუაზიულ-საზოგადოებრივ აზროვნებაში.

გენუას კონფერენცია ამ „ახალი" აზრის რეალიზაციას ემსახურება. კაპიტალისტური მექანიზმი ჰიპერტროფიულ განვითარებით ანტანტამ თვითონ შეუქმნა თავის თავს საბედისწერო კოლიზია, საკუთარის ხელით გათხარა უზარმაზარი სამარე. მასში იგი ჩასვა ევროპიულ ომმა. გენუამ უნდა შავი მიწა მიაყაროს, მეტი და არ დარჩენილა რა. მაგრამ ანტანტა დალტონიზმითაა დასნეულებული, მას მოვლენების რეალი სახეობა სულ სხვანაირად ეჩვენება. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ანტანტა ვერ ამჩნევს თავის დასამარების პროცედურის დასასრულს და სცდილობს სამარიდან „მკვდრეთით აღდგომას".

მიაღწევს ანტანტა თავის მიზანს, აასრულებს იგი დაუსრულებელ ლტოლვას გაახალგაზრდავებისა, ე. ი. მოევლინება ანტანტას ქრისტე ღმერთი, რომელიც მიანიჭებს მას ლაზარეს ბედს? ასეთი პრობლემა სადგურდება ჩვენს ცნობიერებაში გენუის კონფერენციის გახსნის წინ.

გენუას დიდი უპირატესობა აქვს ვაშინგტონთან შედარებით. არა ახალი კითხვების წამოყენებით, შინაარსის მოცულობის გაფართოებით, პროგრამით. არა. გენუას მიზანი არსებითად იგივეა, რაც ვაშინგტონის იყო. მხოლოდ მისი უპირატესობა გამოიხატება საკითხის გადაწყვეტისათვის ახალი ხერხის, ახალი მეთოდის ხმარებაში. რაში მდგომარეობს ეს ახალი ხერხი?

როგორც ვიცით, ევროპიულ ომმა ანტანტა მეტად საშინელ შედეგების წინ დააყენა, როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალ-ეკონომიურ სფეროში. ომით ანტანტამ არსებითად ვერაფერს მიაღწია. მისი მიზანი, რომელიც კოლონიალი ქვეყნების გადანაწილებაში გამოიხატება, განუხორციელებელი დარჩა, ხოლო ომის შედეგი კი ძლიერ ბასრი ხმალი შეიქნა კაპიტალისტურ სამყაროს ძლიერების წინააღმდეგ მოქნეული. მწვავე ეკონომიური კრიზისი, უმუშევარ ლეგიონების რიცხვის პროგრესიული ზრდა, კოლონიალ ქვეყნებში ეროვნული მოძრაობის განვითარება, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ნორმალად წარმოების შეუძლებლობა უხეშ პირობების შექმნისა გამო, და მრ. სხ.—აი რას შეიცავს ანტანტის „გამარჯვება". ვაშინგტონის კონფერენციის მიზანს შეადგენდა ევროპის გამოყვანა საბედისწერო ქუჩაბანდიდან და საერთა-

შორისო წონასწორობის აღდგენა-განმტკიცება როგორ მიუდგა ამ სერიოზულ საკითხის გადაჭრას ბ-ნი გარდინგი, ვაშინგტონის ინიციატორი? სრულიად მარტივად: მოიწვია კონფერენციაზე მხოლოდ „გამარჯვებული" კაპიტალისტური სახელმწიფოები და ამ რიგად, მოახდინა სრული იზოლიაცია „დამარცხებულ" ქვეყნების, მაგ. რუსეთ-გერმანიის ინტერესების. რუსეთისა და გერმანიის აქტიური მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იყო საერთაშორისო წონასწორობის ჩამოყალიბება, მით უმეტესად—ევროპის ეკონომიური რენესანსი. მაშასადამე, ვაშინგტონის პიონერები იმთავითვე დაადგნენ ყალბ გზას და ამიტომ ლოღიკურის აუცილებლობით წარსდგნენ უმნიშვნელო რეზულტატების წინაშე.

გენუა ახალი გზით მიემართება ძველ მიზნებისაკენ. იგი იღებს „დამარცხებულთა" უფლებას მხედველობაში და ითვალისწინებს მათ როლს ანტანტის, საზოგადოდ—ევროპის სოციალ-ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგების საქმეში. ანტანტის ბურჟუაზიული ეკონომისტებისათვის ნათელი შეიქნა ის ელემენტარი ჭეშმარიტება, რომ დაცემული და გაპარტახებული ევროპის აღდგენა გერმანიის, განსაკუთრებით—რუსეთის ეკონომიურ აღებმიცემობის ფერხულში ჩათრევის გარეშე. საკუთარის კუდის ლოკვით ვერ გამოძლება ანტანტა, საჭიროა მისი მოქმედების ფარგალი გაფართოვდეს. რაკი საკუთარი ძალღონით ვერ წამოდგება, სხვისი ენერგია დაიხმაროს. ამას ღაღადებს ლოიდ ჯორჯი, პუანკარე და მათი ძმები. ასეთია დას. ევროპის ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზრი.

დიახ, როგორც ვსთქვით, ვაშინგტონთან შედარებით გენუას აქვს დიდი უპირატესობა და მოსალოდნელია ევროპის პერსპექტივაში ახალი მოხაზულობათა მიღება. სახელდობრ: სახელმწიფოების ერთმანეთთან დაახლოება, ეკონომიური ურთიერთობის გაჩაღება, ე. წ. „ბლოკადიადა"-ს მოსპობა და კომპრომისული გზების და საშუალებების გამონახვა. ყველა ეს უზრუნველყოფს განსაზღვრული დროის განმავლობაში მშვიდობიანობის დამყარებას ევროპის ფარგლებში: ევროპის მასშტაბით მაინც. ამიტომ გენუას კონფერენცია არ არის პალიატიური საშუალება ევროპის აწეწილ-დაწეწილი ცხოვრების ნორმალი კალაპოტში ჩაყენების დარგში. მას აქვს დიდი ღირებულება, დიდი მნიშვნელობა საერთაშორისო პოლიტიკისთვის და მის მუშაობას შეუძლია თვალსაჩინო შედეგის გამოღება.

მაგრამ გენუას კონფერენციის შესახებ ასეთ ოპტიმისტურ წარმოდგენის სიძლიერეს ძალზე ანელებს ამერიკის პოზიციის, შეერთებული შტატების გენუისადმი დამოკიდებულების საკითხის გათვალისწინება. როგორც ვიცით, ამერიკა უარს აცხადებს კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებაზე. მთელი მსოფლიოს ძალები თავს იყრის გენუაში. გენუა შეიქნა გიგანტთა და არა გიგანტთა, ძლიერთა და უძლურთა ძალების მთავარი პოლიტიკური ფოკუსი. ამერიკა ამ ფოკუსის გარეშე იმყოფება. რაშია საქმე, რაში მდგომარეობს ამერიკის ასეთი პოზიციის მიზანი? აი საკითხი, რომელიც საინტერესოა თვისი რაობით. ამერიკის არც ერთ ნოტაში არ არის გამოთქმული აზრი ნათლად და გარკვევით ამ საკითხზე. შეიძლება ეს დიპლომატიის საიდუმლოებაა. მაგრამ ძაღლის თავი სწორედ ამ „საიდუმლოებაში" მარხია. ამერიკის პოზიციის მიზნის გაგება იმითაა საინტერესო, რომ ამით ჩვენთვის უფრო აშკარა და ხელშესახები გახდება საერთაშორისო პერსპექტივის მომავალი სახეები.

შეიძლება ამერიკის „უკმაყოფილების" მიზეზად რევოლიუციონური რუსეთის კონფერენციაზე მონაწილეობის მიღება დავსახოთ? ცხადია არა. პირიქით, ამერიკა საბჭოთა რუსეთთან ძლიერ ლოიალი განწყობილებაშია. ამერიკა დაინტერესებულია რუსეთის ძლიერების აღდგენით. შეერთებული შტატების საქველმოქმედო საზოგადოებებით მოფენილია საბჭოთა რუსეთის ვრცელი ტერიტორია. ეკონომიურ-ფინანსიურ დახმარებას რუსეთი მხოლოდ და მხოლოდ ამერიკისაგან ღებულობს. რით აიხსნება ეს მოვლენა? რა თქმა უნდა, არა ამერიკის „დემოკრატიზმით" და ალტრუიზმით. ამერიკას ყავს ახალგაზრდა ძლიერი მეტოქე „ამომავალი მზის ქვეყანა"—იაპონია, ერთის მხრით, ინგლისი—მეორეს მხრით. ეს ორი ძალაა, რომელიც არ აძლევს ამერიკას მყუდროებას. ამ ძალებისა და ამერიკის ინტერესები იხლართებიან კოლონიალი პოლიტიკაში. საბჭოთა რუსეთი დიამეტრალი მიმართებაში იმყოფება როგორც ინგლისთან, ისე იაპონიასთან. რამდენად ეს ასეა, რამდენად რუსეთი მებრძოლია ამერიკის მეტოქეების წინააღმდეგ, იმდენად საბჭოთა რუსეთი პოულობს შეერთებულ შტატების სიმპატიას და ამერიკაც უწევს მას ანგარიშს. ამრიგად, ჩვეულებრივი შეხედულება, რომ ამერიკის თანამედროვე პოზიციის მიზეზი გენუის კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის მოწვევაშია, არსებითად ყალბ მოსაზრებად უნდა ჩაითვალოს.

ამერიკის გენუისადმი უარყოფით დამოკიდებულების მიზეზი თვით ამერიკაშივე უნდა ვეძიოთ. ამერიკა დღეს ერთად ერთი ქვეყანაა, რომელსაც სამართლიანად მსოფლიო ჰეგემონს უწოდებენ. დღეს მსოფლიოში მხოლოდ შეერთებული შტატები აღწევს პოლიტიკო-ეკონომიურ ძლიერების კულმინაციას. ამის მთავარი მიზეზი ევროპიული ომია. მაშინ, როდესაც ევროპის სახელმწიფოები ომის ქურაში იმყოფებოდა, ინგრეოდა ევროპის ეკონომიური კულტურა, იწვოდა დაბა-ქალაქები, ინგრეოდა ქარხნები, საწარმოო ძალები და ილიტებოდა მილიონობით ცოცხალი ძალა, ამერიკა უშფოთველად განაგრძნობდა ეკონომიური ილაჯის განვითარებას, აუღელვებლად უყურებდა შორიდან ჭოგრით ომის მსვლელობას, აწვდიდა მეომარ მხარეებს საჭირო საგნებს, ერთი სიტყვით, ანვითარებდა საკუთარ მეურნეობას ზღაპრულ სისწრაფით და ეწეოდა მებრძოლ ევროპის საშინელ ექსპლოატაციას. ამერიკამ მთელი ევროპა კოლონიად გაიხადა თითქმის. დაეცა ეკონომიურად ევროპა, იგი მოექცა ამერიკის ეკონომიურ-ფინანსიური ბრჭყალებში. „დამარცხებულ" სახელმწიფოებს რომ თავი დავანებოთ, „გამარჯვებულთა" ფინანსიური დაუძლურება ასურათხატებს საქმის საერთო მიმდინარეობას. ანტანტის სახელმწიფოებს მართებს ამერიკის ვალი:

საფრანგეთს 335_8 მილ. დოლარი ოქროთი, ინგლისს 4116_3 მილ. დოლარი ოქროთი, იტალიას 1648_0 მილ. დოლარი ოქროთი.

საერთოდ, ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში შეერთებულ შტატების საწარმოო ძალების განვითარება მეტად საყურადღებო სურათს შლის მსოფლიოს წინაშე. გვეუბნება უკანასკნელი სტატისტიკა.

1910—1920 წ. წ. განმავლობაში ამერიკის საწარმოვო ძალები შესამჩნევად განვითარდა. ამერიკას დღის შესწევს საკუთარი პოლიტიკის წარმოების ძალა. ეს პოლიტიკა თანდათან იჟღინთება მილიტარისტული და მარინისტული სულისკვეთებით. მაგ. გემთა შენება 1910 წ. 394 მილ. ტონს უდრიდა, ათი წლის შემდეგ იგი უკვე 3,880 მილ. ტონში იხატება.

ამერიკის მთავარი მიზანი ევროპის დამორჩილებაში, ევროპის კოლონიად შექმნაში მდგომარეობს. დასუსტება ინგლისის, ანტანტის მეთაურის და მისი შეერთებულ შტატების პოლიტიკურ და ეკონომიურ რკალში მოქცევა, აი რა ახასიათებს, რა შეადგენს ამერიკის სულისკვეთების ნიშანდობლივ თვისებას. გენუიდან განდგომა, ამერიკის პოზიცია გენუის კონფერენციის მიმართ ადასტურებს, ააშკარავებს ამერიკის მთელ საიდუმლოებას.

შეერთებული შტატები, როგორც პოლიტიკურად და სოციალ—ეკონომიურად მსოფლიოში უძლიერესი ფედერაცია, არ საჭიროებს სხვების მოშველებას, დახმარებას. იგი გაურბის ყოველგვარ ვალდებულებას. იგი არ სცნობს ვისმეს წინაშე მოვალე გახდეს, არ სცნობს საჭიროდ საკუთარი განუსაზღვრელი ჰეგემონის ფარგლების შეზღუდვას სხვისი ინტერესების აღიარებით. ამერიკა გამოვიდა ერთა ლიგიდან. ამერიკა არ აწერს ხელს იმ ხელშეკრულებას, რომელიც განზრახულია დაიდვას გენუაში. როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაში ამერიკა ლოღიკაში რჩება: იგი არ ურიგდება ისეთ ორგანიზაციას. რომლის დისციპლინას უნდა დაემორჩილოს და არ ღებულობს მონაწილეობას ისეთს კონფერენციაზე, სადაც გამომუშავდება „სავალდებულო დადგენილებანი". ამით ამერიკას ეძლევა თავისუფლად მოქმედების სრული უფლება, ამ უფლებას იტოვებს თავისათვის ამერიკის შეერთებული შტატები. ამერიკის თანამედროვე პოზიცია ერთხელ და სამუდამოდ ადასტურებს იმ ფაქტს, რომლის მოლოდინში
უნდა ვიყოთ ჩვენ, სახელ
ადასტურებს გიგანტთა (ინ
იაპონია, ამერიკა) [illegible]
[illegible] - საშ
[illegible]

გენუას ბედი იმით იქნება
გტონის ანალოგიური, რომ
ფერენციაზე არ მონაწილეობ
რიკა. ამიტომ კონფერენციის
გები იქნება დროული, პრ
რული მნიშვნელობის. კაპი
ტური სამყაროს ხსნის სათა
ნუით არ იწყება, როგორც
წყებულა, ვაშინგტონით. მს
წონასწორობის შექმნაზე ფიქ
ხავსებული კაპიტალისტური
ნობის უბადრუკი ოცნებაა,
რომლის რეალიზაციას არ
ბა ბურჟუაზიული მსოფლიო.
ტალისტური კულტურა და
საკენ მიექანება, კვდება. შ
სხვა და სხვა პალიატივებით ს
ის პროცესი გახანგრძლივდ
გაამართლდეს ჩვენი წარმოდგ
სიკვდილის ახლო მომავალზე,
რამ ამას არ აქვს ჩვენთვის
თი მნიშვნელობა...

გ. მუშიშვი

სამი ინტერნაციო ლის კონფერენც

შეთანხმებას მიღწეულ

მოსკოვი, 10 აპრილი. ჰნოვ
9 აპრილის თარიღით იტყობი
ოთხი დღის მძიმე მუშაობის შ
რომელიც მრავალჯერ შეწყვეტი
და სრული ჩაშლაც მოსალოდნელ
მიღწეულ იქმნა შეთანხმება, რომ
ხელი მოაწერეს სამივე აღმასრულ
კომიტეტების წარმომადგენლებმა.
საფრანგეთის პრესა, [illegible]
ნფერენციას საერთო ჯამს, ალნ
რომ მიუხედავად აზრთა დიდ სხ
სხვაობისა, ჩაყრილია საძირკველი
ვალ საერთო მუშაობისათვის.
ინტერნაციონალების აღმასრულ
კომიტეტებმა აირჩიეს სამ სამ
მომადგენელი კომისიაში, რომ
მოამზადებენ შემდეგ კონფერენციას
ლერმა მწუხარება გამოსთქვა, რომ
ინტერნაციონალის კონფერენცი
ობდა გენუის კონფერენციის
მისი წინადადებით გადაწყვე
აპრილს მოეწყოს საერთო დემონ
ცია საერთაშორისო კაპიტალის
აღმდეგ, საბრძოლველად—8 საათ
მუშაო დღისთვის, რუსეთის რევო
ციისთვის, დამშეულთა დახმარებ
მოსაჩენად, რუსეთის ურთიერ
განსაახლებლად.

ეგნატე ნინოშვილი

(დასასრული)

ამ ლამაზ მოთხრობას ეგნატემ მიაყოლა პოლემიკური სტატია „ივერიელების" წინააღმდეგ, ამ სათაურით: „ძველი დავა ახალ ქერქში". ამას შემდეგ, ესკიზი—„სხვამ რაც უნდა თქვას". კიდევ დასტამბა მეორე პოლემიკური სტატია, ისევ ივერიელების წინააღმდეგ, ამ სათაურით: „უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისათვის". გაზ. „ივერიის" მთავარი თანამშრომელთა თელი შემადგენლობა—ილია, ჟორდანელი, Pleis-ი, მეველე, ნ. ლომოური, სტ. ქრელაშვილი, სანო, ნა-ლი და სხვებიც: ისტორიკოსები, პუბლიცისტები, პედაგოგები, დრამატიკოსები და ფელეტონისტები—ასე წოდებული—„მეზურნეები" აჩხედრდენ „კვალის" წინააღმდეგ და გაქონდათ და გამოქონდათ ჩემი ოთხი სტატია: „ქართული ლიტერატურის მდგომარეობა" ფერი...

ნამეტანი გულ გახეთქილები იყვნენ დალოცვილები, იმათ რო დაცინვით „წეტიათა მოტრფიალენი" ვუწოდე და გულში... მწარედ მეცინებოდა. ჩვენს ეგნატეს დიდი გულწრფელობა, ცხოველი და სიფიცხეც შექონდა თავის პოლემიკურ სტატიებში და მახვილადაც ანადგურებდა მოწინააღმდეგეთა შანსებს. და, ბოლოს, აშკარაც შეიქნა, რო ჩვენი პარტია ლიტერატურაში იმარჯვებდა და წლის ბოლოს, ჩვეულების წინააღმდეგ, ჩვენ პოლემიკა შევანელეთ...

1894 წელს, მარტის თვეში, ქუთაისიდან დიდ ქალაქში ჩამოვედი. „კვალში" ისტამბებოდა ეგნატეს შვენიერი მოთხრობა—„ჩვენი ქვეყნის რაინდი". აკაკიც შერიგებოდა „კვალის" რედაქციას და მისი შესანიშნავი ლექსები და სტატიებიც სიცოცხლეს და სიამეს ფენდა ქალაქს ახლად გაღვიძებულ გაზაფხულის ცხოვრებას. ამავე წელიწადს, იანვრის თვეში, სტამბიდან გამოვიდა „ქართული წიგნების მკითხველი ამხანაგობის" თვიური გამოცემა—ჟურნალი „მოამბე". ამ ჟურნალის კრიტიკული განხილვა ჟურნალი „კვალისთვის" პერიოდულად მე უნდა მეწარმოებინა და მისი განხილვა შევუთანხმე „კვალის" რედაქციაში-გიორგი წერეთელს. ჟურნალი „მოამბის" პირველი და მეორე ნომრის განხილვა საზღვარ გარეთიდან მოსვლოდა აგრეთვე ნოე ჟორდანიასაგან (პეტრეძის ფსევდონიმით) და ეს ნოეს სტატია მე გადმომცა გიორგიმ წასაკითხავად და სარედაქციოთ. ამასთანავე ეგნატეს ამბავიც დაწვრილებით მითხრა და იმისი მისამართიც მომცა.

მეორე დილით ადრე შევუდექი მთაწმინდის აღმართს და ეგნატეს ბინასაც მივაგენი. იგი იწვა ერთ ღარიბულად გაწყობილ ლოგინზე, ვიწრო, ნოტიო და ბნელ ოთახში. ავათ იყო. წინ სკამი ედგა და საკითხავი წიგნები ქონდა ზედ დაწყობილი. იქ იყო დობროლიუბოვის პირველი ტომი, „კვალის" და „მოამბის" ნომრები და სხვა წიგნებიც. დობროლიუბოვზე განსვენებული ბევრს ლაპარაკობდა. ეტყობოდა, რომ დობროლიუბოვს იმაზე დიდი, ღრმა და ძლიერი შთაბეჭდილება მოეხდინა. მეუბნებოდა, რომ ამაზე უძლიერესი, ღრმა და ძლიერი შთაბეჭდილება მოეხდინა. მეუბნებოდა, რომ ამაზე უძლიერესი, ღრმა ანალიზით გამკვეთი და გულწრფელი გენიოსი მწერალი რუსებს არა ყავსო. ვატყობდი, რო ტკბილი და ლამაზი ეგნატე სახუმაროთ არ იყო ავათ და ვთხოვე, როგორც მეგობარს, ჩემთვის დამეჯერებინა და საზაფხულოთ წასულიყო გურიაში, ბახმაროზე.

შენ გულს ნუ გაიტეხ ნურც მოიწყენ. ჩვენ ყველანი, შენი ამხანაგი და მეგობრები შეგეწევით. წერას და კითხვას თავს ნუ შეაწუხებ. შენ ახლა დიდი თავის მოვლა და მოსვენება გინდა და აბა, შენ იცი და შენმა გამოცდილებამ მეთქი და გამოვემშვიდობე.

მესამე დღის უკანასკნელათ ვნახე ეგნატე. თურმე, ეს იყო ჩვენი ერთი მეორის უკანასკნელი ნახვა და გამომშვიდობებაც წუთის სოფელთან, და მაპატიეთ, რომ ამ უკანასკნელ მის ნახვას აქ დაწვრილებით ვერც ავწერ ახლა...

დიდი, ძალიან დიდი დახმარება და მზრუნველობა გაუწია ეგნატეს მისმა შეგირდობიდანვე ნაამხანაგარმა და მეგობარმა—სილიბისტრო ჯიბლაძემ იგი გაუყვა ეგნატეს თფილისიდან და სიკვდილამდი არ მოცილებია ამ უბედურს...

ამავე წელს, მაისის თვეში, ეგნატემ თავის სოფელ ჩოჩხათში სულიც დალია და ამ კაცის ტანჯვასაც დასასრული მიეცა...

ელვის სისწრაფით მოედვა ეს გლოვის ზარივით მწუხარე ამბავი დიდი ქალაქის არე-მარეს და რედაქციებსა და ინტელიგენციაში დაიწყეს მზადება, რომ ასეთი ნიჭიერი დიდათ საიმედო მწერალი. ასე მოულოდნელათ, ასე უცბად მოწყდა წუთისოფელს, გაქრა ხელსა და თვალში...

„კვალის" რედაქციამ მე მომცა წინადადება, წამეღო გვირგვინი და წავსულიყავ გურიას, ეგნატეს დასაფლავებაზე. მაგრამ მე შეკრული ვიყავი და ამ ჩემი გულის სასურველ საქმეს ვერ შევასრულებდი. თელი საფილოქსერო პარტიის ინვენტარი და ნივთები ჩაბარებული მქონდა და სწორეთ მეორე დღეს უნდა ამეკრა ბარგი და გამგზავრებულიყავი კახეთისაკენ. ეს გადაწყვეტილი იყო და ამ განკარგულებას ვერავინ შეაჩერებდა.

სულ ყველაფერს აჯობებდა, რო თვით გიორგი გამგზავრებულიყო იქ და მეც ვთხოვე გიორგის, ეს საქმე იტვირთა.

—მეტი გზა არც არის, რომანოზ ჩემო! ისევ მე უნდა ავიბარგო ამ სიბერეში და საუკუნოთ გამოვეთხოვო ჩემს ნიჭიერს თანამშრომელს. და ეს, მართლაც, მეტათ ლამაზი და კეთილშობილი საქმეც იყო, რომ თვით ხელმძღვანელი და მხცოვანი მეთაური სიმპათიურ ჟურნალი „კვალისა" წავიდა ეგნატეს დასაფლავებაზე დასასწრებლათ.

თელი გურიის იმ დროის ინტელიგენცია მოგროვდა დასაფლავებაზე და დიდის ამბითაც იქნა ეგნატე ნინოშვილი დასაფლავებული ჩოჩხათის ეკლესიის გალავანში. ცეცხლივით მგზნებარე სიტყვები წარმოსთქვეს: სილიბისტრო ჯიბლაძემ, ისიდორე რამიშვილმა, ლადო დარჩიაშვილმა და სხვებმაც. ამათ გულდიათ ილაპარაკეს ყოველივე ის, რაც ამოქმედებდა და გულში ედვათ და გიორგი წერეთლის წინ გაშალეს თელი ახალი გეგმა და პროგრამა მშრომელი ხალხში მოღვაწეობისა და სამსახურისა. ნიჭიერათაც დახასიათეს განსვენებული ეგნატე და გიორგისაც თვალები აეხილა ყოველაფერი და ანახვა ამ გარემოებამ. იგი სიხარულით გამოეთხოვა ყმაწვილებს, გახარებული გამობრუნდა გურიიდან დედაქალაქისკენ და „კვალის" ფურცლებიდან თელ ქართველობას ახარა, რო ჩვენი ქვეყნის არე-მარეზე გაჩნდა მესამე დასი, რომელიც ამიერიდან შეებრძოლება ჩვენს უვიცობას, სიღარიბეს, გაუმკლავდება მშრომელი ქართველი ხალხის გატანჯულ ცხოვრებას და ეს დასი გამოიხსნის კიდეც იმას აუტანელ უბედურებისგანო...

ამნაირათ, ეგნატეს საფლავი შეიქნა სიმბოლო საუკუნო, მუდმივი ცხოვრებისა და ამიტომაც იგი გახდა უკვდავი და მარად სახსენებელი. იგი ერთი ცოცხალი დიდი კოლაპტარია გურიის დანგრეული ძველი ქვეყნის ნიადაგზე დადგმული, მუდამ განახლებული სამერმისო ბედნიერი ცხოვრების მაჩვენებელი.

ამიერიდან ეგნატეს საუკუნო
სვენებული ადგილი შეიქნა ც
ნით სამახსოვრო საფლავი, სადაც
ვლით წარმოითქვა საქართვე
ახალი დასის ცეცხლივით მგზნებარ
მეხივით მჭექარე ახალი სიტყვა, რო
მაც „ტვირთთა მძიმეთა და მაშვრ
ეული ალავსო სამომავლისო დიდი
დეებით და იდეალებით.

ამ წმიდა ტანჯული კაცის შ
საფლავზე ქართველი მშრომელი ხ
ცხარე ცრემლი ადინა და ამ გა
კეთული ცრემლითვე ეზიარა თვით
კუთარს საფლავშივე მწოლარე მიც
ბული ეგნატე.

რაც იყო ჩვენი გამწარებული წა
ლი ცხოვრება ამ ჩვენი დიდი რევო
ციის წინ, ეს ყველამ იცის. და
თქვენ ადვილადაც წარმოიდგენთ,
რა იქნებოდა ეს ტანჯულთა ც
რება უღმობელი დესპოტის, აღ
რე მესამის დროს, როცა მეფ
პობედონოსცევები, დელიანოვები დ
დროის კაცის მჭამელი ჟანდარმები.

ეგნატე ვერ შეურიგდებოდა, რა
უნდა, ასეთ უკულმართი ცხოვ
ანორმალურ პირობებს, იგი შურის
ბის მწველის ცეცხლით ძლიერად
თიშული, აპრიალებული მიდიოდა
ტანჯული ცხოვრების გზაზე და ხმა
ლაც იწვევდა ქართველთა ახალთა
დიდის ბრძოლისა და პოლიტიკური
ლვაწეობისათვის.

ქართული რეალიზმის დიდი მ
მთავარი—გიორგი წერეთელი, ჰ
ტით, ნამდვილი, გახორციელებ
მოხუცებული სიმონ მიმრქმელი
ნა, როცა ეგნატეს საფლავთან თ
ყრილ ახალთაობას მესამე დასი უ
და აღელვებული სულითა და მხ
ლი გულით ქართველობას ახარა ქ
ლოსანთა ერის ცხოვრებაში
ღრმა კვალის გაყვანა, სრულიად ახ
წმინდა ევროპული ხანის დაწყება

გენუას კონფერენციის გარშემო

კონფერენციის გახსნა

ნაუენიდან მოსულ ცნობით, გენუას კონფერენცია გაიხსნა აპრილის 10-ს, 15 საათზე. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა იტალიის პრემიერი ფაქტა, რომელმაც განმარტა იტალიის პროგრამა. სიტყვები წარმოსთქვეს: საფრანგეთის, ბელგიის, ინგლისის, იაპონიის და რუსეთის (ჩიჩერინმა) წარმომადგენლებმა.

საფრანგეთი და გენუა.

ბორდო, 6 აპრილი. გენუასკენ გამგზავრების წინ, პუანკარემ მოიწვია საფრანგეთის დელეგაციის ყველა წევრები და დაწვრილებითი ინსტრუქციები გადასცა. ყველა გადაწყვეტილებებს უკარნახებს მთავრობა პარიზიდან. დელეგაციამ უნდა დაწვრილებითი ინფორმაცია გაუკეთოს პარიზის კონფერენციის მუშაობის შესახებ. უკანასკნელი სიტყვა მიეცემა დეპუტატთა პალატას.

პარიზი, 6 აპრილი. „მატენი“ ისაყვედურება იმის გამო, რომ გერმანოფილების და ბოლშევიკური ევროპის გაზეთები დაჟინებით ამტკიცებენ, ვითომ საფრანგეთის მიერ ინსტრუქცია გენუას კონფერენციას მიიყვანს ფიასკომდის. „მატენი“-ს მტკიცებით ყველა ეს ბრალდებანი, რომელიც საფრანგეთის მისამართით გაისმის—სიმართლის დამახინჯებაა. საფრანგეთი ეცდება იქითკენ, რომ ყველა ის ძალები, რომელიც კონფერენციაზე მიიღებენ მონაწილეობის,—დააყენოს იმ გზაზედ, რომელსაც შეუძლიან სარგებლობა მოუტანოს მთელ ევროპას. ყველა ჯანსაღ ელემენტებმა უნდა მოილაპარაკონ, რომ მათ შეინარჩუნონ კრედიტორთა უფლებები გერმანიაში და რუსეთში. ამას დაბეჯითებით მოითხოვს არა მარტო კრედიტორი—სახელმწიფოთა უფლებანი, არამედ თვით მოვალეებისაც როგორც რუსეთის და გერმანიის, რომელთაც შეუძლიათ შანსები ჰქონდეთ კრედიტზე, როდესაც კრედიტორები დარწმუნებულნი იქნებიან, რომ მათი უფლებები დაცული იქნება.

ბორდო, 6 აპრილი. „მატენ“-ი ხაზგასმით აღნიშნავს, საფრანგეთი ყოველგვარ [illegible], რომ ხელი შეუწყოს გენუას კონფერენციის მუშაობას და მისთვის თავის დელეგაციასაც ვრცელი ინსტრუქციები ჩააბარა. ამასთან ერთად საფრანგეთის მთავრობა წინააღმდეგია ყოველგვარ კრებისა, რომელსაც კი ექნებოდა უმაღლეს საბჭოს კრების ხასიათი და უარს ამბობს სეპარატიულ თათბირზე ზოგიერთ საკითხების შესახებ, რომელსაც ექნება ადგილი მოკავშირეთა და გერმანიის შორის. ტეხნიკური კომისიის შედგენის საკითხის შესახებ „მატენ“-ი სწერს: „საფრანგეთის თვალსაზრისით, ტეხნიკური კომისიები უნდა არჩეულ იქნას ყველა ქვეყნების ერთ-უფლებებზე—რომელნიც მონაწილეობენ გენუას კონფერენციაზე“.

რუსეთის დელეგაციის მოთხოვნილებანი.

ბერლინი, 8 აპრილი. რუსეთის დელეგაციას გენუაში, განზრახვა აქვს წამოაყენოს შემდეგი მოთხოვნილებანი: 1) რუსეთის კომერციული ფლოტის ცნობა სავაჭრო გემებზე, 2) უცხოელთა ნავთსადგურში თავისუფალი შესვლა, 3) ყველა რუსეთის გემების დაბრუნება, რომელიც იმყოფება საზღვარ-გარეთ, და 4) რუსეთის მონაწილეობის მიღება დარდანელის კონტროლში.

არც ერთი რუსი, დელეგაციის წევრთა გარდა.

მოსკოვი, 10 აპრილი. იტალიის მთავრობამ გადასწყვიტა; კონფერენციის დროს, სხვა და სხვა რუსეთის ორგანიზაციების წარმომადგენელთ, რომელიც კი არსებობს საზღვარ-გარეთ, გენუაში ჩამოსვლის ნება არ დართონ.

იტალიის მთავრობამ განაცხადა, რომ არც ერთი რუსი, გარდა საბჭოთა დელეგაციის ოფიციალურ წევრის, არ იქნება დაშვებული გენუაში.

გერმანიის პროგრამა რუსეთში.

მოსკოვი, 10 აპრილი. სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ, რომ გერმანიის დელეგაცია უარჰყოფს ინგლისის გეგმას საერთაშორისო სინდიკატისას და დაჟინებით მოითხოვს საბჭოთა რუსეთთან ერთად-ერთ შესაძლებელ თანამშრომლობას. თვით გერმანია იკისრებს რუსეთის ტრანსპორტის აღდგენას. გერმანიის დელეგაცია წინადადებით მიმართავს კონფერენციას, რომ იგი იკისრებს რუსეთ-გერმანიის შორის რკინის გზის პირდაპირი მიმოსვლის აღდგენას და საზღვაო გზების მოწესრიგებას.

რუსეთის დელეგაცია გენუისაკენ.

— 5 აპრილს რუსეთის დელეგაცია ჩავიდა გენუაში.

— რომიდან იტყობინებიან: მიუხედავად გენუაში საბჭოთა დელეგაციის ჩასვლის ძალიან ადრე დროისა, სადგურის წინ მაინც დიდ ძალმა ხალხმა მოიყარა თავი. საიდუმლო პოლიციის აგენტებმა შენიშნეს ხალხში ჯგუფი იტალიელ კომუნისტებისა, რომელთაც სურდათ აეფრიალებინათ წითელი დროშა მისასალმებელი წარწერით. დროშა უნდა აღემართათ დელეგაციის გამოსვლის დროს. პოლიციამ ამ ჯგუფს დროშა ჩამოართვა. როდესაც გამოჩნდა ავტომობილები საბჭოთა დელეგატებით, კომუნისტები მათ შეხვდნენ „გაუმარჯოს დელეგაციას“ ძახილით.

დელეგაცია მოთავსებულია ერთ-ერთ იტალიელ ნეგოციანტის შენობაში.

პარიზი, 8 აპრილი. საფრანგეთის დელეგატები—ბარტუ, კოლრა პიკარ სეიდუ შაბათს გაემგზავრნენ გენუაში. რომიდან გენუაში წავიდა საფრანგეთის ელჩი ბარერი.

ბორდო, 8 აპრილი. პარიზის პრესა ხაზს უსვამს საფრანგეთის და ბელგიის შორის გამეფებულ შეთანხმებას გენუას კონფერენციის მთავარ საკითხებში. სრულიად იდენტიური საფრანგეთის და ბელგიის ექსპერტების გადაწყვეტილება საბჭოთა მთავრობისაგან მოთხოვნილ გარანტიებისა და რუსეთის აღდგენის შესახებ.

მისწრაფება ზავისადმი.

პარიზი, 8 აპრილი. იტალიის პრემიერი ფაქტა აცხადებს: გენუას კონფერენცია, იტალიელების წარმოდგენით, არის გამოხატულება მშვიდობიანობისადმი უაღრესი მისწრაფებისა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი ძირითადი საკითხი კონფერენციის დღის წესრიგში: რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენა და ძველი ქვეყნის ეკონომიური აღორძინება. კონკრეტიულად ფაქტამ ხაზი გაუსვა იმას, რომ იტალიის დელეგაცია დაბეჯითებით მოითხოვს ქაღალდის ფულის შემდეგი ემისიის შეწყვეტას და შემოტანა-გატანის სრული თავისუფლების აღდგენას.

რატენაუ გენუას შესახებ

ბერლინი, 8 აპრილი, რატენაუ, ახასიათებს რა გენუას კონფერენციას, სხვათა შორის ამბობს: მიუხედავად ყველა უარყოფითი მხარეებისა, მაინც არ შეიძლება ამ კონფერენციის მარცხსაც არ ჰქონდეს თავისი დადებითი მნიშვნელობა, ყველა ნაციები იმ დასკვნამდე მოვლენ, რომ კონტრიბუციის პრობლემის გადაუჭრელად, შეუძლებელია ევროპის აღდგენა ისევე, როგორიც ის შეუძლებელია ამერიკის აქტიურ მონაწილეობის გარეშე. გერმანიის სახელით, რატენაუმ განაცხადა, რომ გერმანიის სახელმწიფოებრიობა [illegible] სცნობს თავის ვალდებულებებს და მიისწრაფვის ევროპის აღდგენის [illegible] და აქტიურ მონაწილეობისაკენ.

ნეიტრალურ სახელმწიფოთა პოზიცია.

ბერლინი. 8 აპრილი. ნეიტრალურ სახელმწიფოს დიპლომატებმა პარიზის გაზეთების კორესპონდენტებთან განაცხადეს, რომ მათი აზრით ევროპამ უმთავრესი და სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს გენუას კონფერენციას. ერთმა დიპლომატმა განაცხადა: უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ გერმანიას არ ექნება იმედი ნეიტრალურ სახელმწიფოების დახმარებისა [illegible] მანამდე, სანამ გერმანია იმყოფება ინგლისისა და საფრანგეთის მ[illegible] ქვეშ, რომლებიც სდგანან თავიანთ მოუდრეკელ მოთხოვნილებებზე.

საფრანგეთი და გენუა

მოსკოვი 10 აპ. საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ გენუას კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, ექნება საფრანგეთისათვის [illegible] ხასიათი, რომელიც შეუძლია მას მიიღოს და უარყოს კიდეც.

— პარიზიდან 7 აპრილის თარიღით იუწყებიან: გაზეთ „ტან“-ის ცნობით იტალიის მთავრობამ შეატყობინა საფრანგეთის მთავრობას, თანახმაა თუ არა იგი შეიქმნას სპეციალური კომისია კონფერენციის მუშაობის განსაწესრიგებლად. საფრანგეთმა ამის თანხმობა განაცხადა და თავის მხრივ სურვილი გამოსთქვა, ყველა ევროპიულ სახელმწიფოს თვითეულ კომისიაში თანასწორი წარმომადგენლობის ყოლისა, გარდა ამისა იტალიამ წინადადება შეიტანა, პოლიტიკური საქმეების შესახებ, განსაკუთრებული კომისიის დაარსებისა, საფრანგეთის მთავრობამ ეს წინადადება უარყო, რადგან ზედმეტ [illegible] ჩასთვალა ასეთ კომისიის შექმნა.

— საფრანგეთის პრესა აღნიშნავს იმ თანხმობას, რომელიც არსებობს საფრანგეთისა და ბელგიის კაბინეტების შორის გენუას კონფერენციის ყველა მთავარ საკითხებში.

ფაშისტების შორის.

ბორდო. 8 აპრილი, ფაშისტებსა და სოციალისტებს შორის მოხდა შეტაკება იტალიის სხვა და სხვა ქალაქებში. კრემონში იყო რამოდენიმე მსხვერპლი.

პუანკარე და გენუა.

ნაუენი. 8 აპრილი „ეხო დე-პარი“ იუწყება: ლოიდ ჯორჯი მიიღებს ყოველივე ზომებს, რათა დაარწმუნოს პუანკარე, რომ საფრანგეთის სახელით მთელი რიგი საკითხების გადასაწყვეტად, საჭიროა პუანკარე პირადად დაესწროს გენუას კონფერენციას, ან მისცეს საკმაო ფართო უფლებები საფრანგეთის დელეგაციას. გაზეთი ამავე დროს აღნიშნავს, რომ ყოველივე ღონისძიება ლოიდ ჯორჯისა ამ მხრივ იქნება უშედეგო: პუანკარე არ მიიღებს ლოიდ-ჯორჯის წინადადებას იმ მიზეზით, რომ მან დეპუტატთა პალატას აღუთქვა შეპირება.

კონფერენციის პირველი სხდომა.

მოსკოვი. 10 აპრილი. რომიდან იუწყებიან, რომ გენუას კონფერენციის პირველი სხდომა შესდგება კვირას 9 აპრილს. ამ სხდომაზე განიხილავენ თვითეულ დელეგაციის რწმუნების საკითხს. სხვათაშორის გარჩეული იქნება რუსეთის დელეგაციის თვითეული წევრის გვარის საკითხი, რომელთაც იცნობენ მხოლოდ პარტიული ფსევდონიმებით, და რომელიც ოფიციალურ დოკუმენტებში არ შეიძლება იქნეს შეტანილი.

ერთა ლიგა და კონფერენცია

მოსკოვი. 10 აპრილი. ლონდონიდან 5 აპრილის თარიღით იტყობინებიან: საფრანგეთის ცდა, გენუას კონფერენციის ერთა ლიგის მეთვალყურეობის ქვეშ დაყენებისა, უშედეგოთ დამთავრდა იტალიისა და ინგლისის მიერ ამ საკითხში მიღებულ მკაცრი პოზიციის მეოხებით. ერთა ლიგის კონფერენციაზე მონაწილეობა შემოფარგლული იქნება გენუაში ერთა ლიგის ფინანსიური და ეკონომიური კომისიების წარმომადგენლების დასწრებით.

ლოიდ-ჯორჯი რუსეთის საკითხზე

მოსკოვი, 9 აპრილი. ლონდონიდან იუწყებიან, რომ ლოიდ-ჯორჯის სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა თემთა პალატაში, უდიდესი ადგილი ჰქონდა დათმობილი რუსეთის საკითხს. მან დაიწყო განცხადებით, რომ საკითხი რუსეთთან ზავის შეკვრისა წარმოადგენს ურთულეს ნაწილს გენუას კონფერენციის პროგრამისას. ის არ უარყოფს სიფრთხილიანობას არსებულ უნდობლობისას საბჭოთა მთავრობის წინაამდეგ. ორატორი ციტატას უკეთებს პიტის სიტყვის ზოგიერთ ადგილს, წარმოთქმულს საფრანგეთის რევოლუციის დროს, რომელშიაც პიტი მოითხოვდა საფრანგეთის რევოლუციონურ მთავრობის ცნობას. შემდეგ პრემიერმა აღნიშნა ის, რომ გერმანიას არ შეეძლება [illegible] თავისი რეპარაციული ვალდებულებანი, სანამ რუსეთი არ იქნება აღდგენილი.

კანის რეზოლუციის შესახებ ლოიდ-ჯორჯმა სთქვა: „რუსეთმა უნდა იცნოს თავისი სახელმწიფოებრივი ვალები. მაგრამ მას არ შეეძლება დაუყოვნებლივ მისი გადახდა და არც არავინ მოელის მისგან ამას. საზოგადოთ არავის არ შეუძლია დაუყოვნებლივ თავისი ვალის გადახდა. პუანკარემ თვით განაცხადა, რომ საფრანგეთს არ შეეძლია დაუყოვნებლივ გადაუხადოს თავისი ვალები ამერიკას. ამ [illegible] სიმართლე რუსეთის მიმართაც, მაგრამ რუსეთმა თავის მხრეზე უნდა დაიდოს სიმძიმე პასუხისმგებლობისა, როგორც ეს ქმნეს საფრანგეთმა და ინგლისმა. როდესაც რუსეთი იცნობს ამის საჭიროებას მყისვე აღსდგება მისი ღირსება. ერთმა მისი თანხმობის შესაძლებლობამ უკვე აწია მისი შანსები. ერთა ლიგის ხელშეკრულება პრინციპიალურად გავრცელებული უნდა იქმნას რუსეთზედაც. ე. ი. როცა რუსეთი პირობას იძლევა, რომ ის თვით არ დაესხმის თავის მეზობლებს, მაშინ უკანასკნელნიც თავის მხრით უნდა იძლეოდნენ სათანადო ვალდებულებას. ერთად ერთი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ არ შეგვეძლება მივიღოთ თავის თავზე რუსეთის საზღვრების დაცვა, იმ შემთხვევაში თუ მას თავს დაესხმიან.

მზად არის თუ არა რუსეთი მიიღოს ეს პირობები? არის ნიშნები,—მაჩვენებელი რუსეთის პოლიტიკის სრულიად შეცვლისა: გამოცემულია ახალი დეკრეტები, მცნობელი კერძო საკუთრებისა, დაარსებულია სასამართლოები დამტკიცებული კანონიერ პასუხისმგებლობისა“. ამის შემდეგ მან მოიყვანა სრულიად ლენინის სიტყვა, წარმოთქმული 1 ნოემბერს 1921 წ. და განაგრძნო: „თუ რომ ყველა ეს ნამდვილად ნიშნავს რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებას, რომ შეუდგეს დასავლეთთან დამოკიდებულებას კერძო საკუთრების პატივისცემის საფუძველზე, ინდივიდუალურ თავისუფლების და ვალების ცნობას, ამით იქმნება ბაზა, რომელზედაც ჩვენ შეგვეძლება ზავის აგება.

როგორ ცნობას გამოიწვევს ეს რუსეთისას? მოწონებამდე (გამოშვებულია დამახინჯებულია) არავითარს ნაბიჯს ფორმალურად ცნობისას არ გამოიწვევს. მოწონების შემდეგ ცნობის აქტმა უნდა გაიაროს ყველა ის სტადიები, რომელიც მოსდევს ერთი მეორეს საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნება სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა გემების რუსეთის მოქალაქეთა გემების ჩვენს ნავთსადგურში შემოსვლისა. მოხსენებული იქნება დაარსება ჩვეულებრივი აგენტებისა სავაჭრო ინტერესების დასაცველად და აგრეთვე სავაჭრო აგენტებისა, რომელიც დანიშნული უნდა იქმნენ ორთავე მთავრობათა შეთანხმებით. რა ფორმაში იქნება გამოთქმული რუსეთის დიპლომატიური ცნობა ამის შესახებ არა ერთხელ გამოთქმულა აზრი.

უეჭველია რომ სრულს დიპლომატიურ წარმომადგენლობას უნდა წინ უძღოდეს გამოცდის პერიოდი. დიპლომატიური წარმომადგენლობა ორთავე ქვეყნისათვის უეჭველად საჭიროა თუმცა სცნობენ, რომ მისი სისრულე და ხასიათი განსაზღვრული უნდა იყოს არა თუ მარტო იმ პირობებით, რომლის მიღებაზე რუსეთი მზად არის, არამედ რეალური დამტკიცებით და კეთილსინდისიერად შესრულებით. სანამ მომავალს შეთანხმებას არ ექნება თემთა პალატის მიერ რატიფიკაცია გაკეთებული, შეუძლებელია, რომ მოხდეს რაიმე ცვლილება წარმომადგენლობაში და რუსეთის დიპლომატიურ ცნობის მოცულობაში. თუ ეს შეთანხმება მოწონებული იქნება, მაშინ რუსეთის მიმართ მოხმარებული იქნება ისეთი ზომები მოქმედებისა, როგორიც მიღებულია გერმანიის მიმართ, დიპლომატიურ წარმომადგენლობის სისრულეს [illegible] მანამ არ მივიღებთ, სანამ დიდი სახელმწიფოები არ [illegible] თა მთავრობას [illegible] ძირის მიღებაში თავისი ვალდებულების შესასრულებლად. მანამ რუსეთი აქ წარმომადგენილი იქნება, როგორიც [illegible] რწმუნებული და ჩვენ კი რუსეთში, როგორც სათანადო აგენტები; სანამ სასურველად არა სცნობენ დამყარონ მთლიანი დიპლომატიური დამოკიდებულებისა სრული სისრულით. გერმანიისათვის ასეთი ვადა დადგა ზავის ხელის მოწერის 12 თვის შემდეგ და ზავის 6 თვის შემდეგ ყველა სახელმწიფოების მიერ საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციისა. ეს ვადა ამ შემთხვევაში წარმოადგენდა იმ გამოცდის პერიოდს, რომლის დამყარებას მოითხოვდა კეთილი გონიერება.

აი ის პირობები, რომელსაც ჩვენ ვაწვდით ბრიტანეთის დელეგაციას გენუაში. მე არა ვფიქრობ, რომ ჩვენი გეგმის დადებითი შედეგი დასაწყისშივე თავს ამოყოფს, მაგრამ ეს გეგმა ყოველ შემთხვევაში ხსნის ვაჭრობის ახალ პერსპექტივებს.

სხვა გამოსავალი არ არის, ვინაიდან არავის არ შეუძლია იწინასწარმეტყველოს საბჭოთა მთავრობის მოსპობა. (დამახინჯებულია) ეხლა როცა უმუშევრობის საკითხი ეგრე მწვავდება, როცა ნახევარი ევროპა ფაქტიურად დახურულია ვაჭრობისათვის, ინგლისის მუშები არ სთანხმდებიან ლონდონს, თუ რომ არსებობს ნამდვილი შანსები ზავის შესაკვრელად.

თავის სიტყვის დასასრულში ლოიდ-ჯორჯი შეეხო უკანასკნელ დამატებითი არჩევნებს და აღნიშნა, რომ ქვეყანა მარცხნივ მიდის. თემთა პალატაში შემოვიდა, სთქვა მან, სამი ახალი წევრი რომლებიც ხმას მისცემენ რუსეთის მთავრობის დაუყოვნებლივ ცნობას. ამ გარემოებას საჭიროა ანგარიში გაეწიოს ჩვენ გაწვდით ზომიერ და ფრთხილი მოქმედების გეგმას. ჩვენ ყოველ ზომას ვხმარობთ რომ რუსეთთან დაახლოვების გზაზე მხარ და მხარ მივდიოდეთ საფრანგეთთან. ჩვენ გამოვიყენეთ ყოველი შესაძლებლობა და დავრწმუნდით, თუ რომ ზავი არ იქნა შეკრული, თუ რომ ჩვენ ვერ მივაღწიეთ მას, ეს მოხდება მხოლოდ მისთვის, რომ არიან ისეთნი რომელთაც ეს არა სურთ. თუ რომ მათ სურთ შეაჩერონ მოძრაობა [illegible] ზავის სასარგებლოთ, მაშინ ჩვენ ვიტყვით მათ, რომ ამას ისინი ვერ შესძლებენ. დეე თავის დროზე გამოფხიზლდნენ“.

უცხოეთი

მოკავშირე ექსპერტების თათბირი რუსეთის საკითხზე.

ინგლისის მემორანდუმი. ლონდონელი ცნობების მიხედვით, შესახებ ექსპერტთა კონფერენციისა პირველ ორ დღეში მათ თათბირი ჰქონდათ ბრიტანეთის მემორანდუმზე. ამ მემორანდუმში უმთავრესად ნათქვამია რუსეთთან ვაჭრობის შესახებ. საფრანგეთის მემორანდუმი, რომელიც ამ დღეებში იქნება მოსმენილი, ეხება რუსეთის მეურნეობის აღდგენის საკითხს. უკვე ცნობილი ზონის სისტემის თანახმად. „დეილი ტელეგრაფის“, „ტაიმსის“ და სხვა გაზეთების ცნობით, ბრიტანეთის მემორანდუმში იგულისხმება, რომ ომამდე არსებული სახელმწიფო და მუნიციპალური ვალები იქნას შეერთებული და შეცვლილი ხელახალი გამოშვებული ობლიგაციებით, რომლის პროცენტები გადახდილი უნდა იქმნეს განსაზღვრული ვადის განმავლობაში „მორნინგ პოსტის“ და ფრანგული გაზეთების სიტყვებით, ეს ობლიგაციები იგულისხმებს. 20 წლის მემორანდუმი, რომლის დასასრულში ეს ობლიგაციები გამოყენებული იქნება რუსეთის ომამდე და ომის დროს აღებულ ვალების გასაქრობლად. „ტაიმსისა“ და „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, ინგლისის წინადადება, როგორც სჩანს კონფერენციაზე, საერთოდ მოწონებული იქნა. საკითხი წამოდგა მხოლოდ ვალიუტის შესახებ თუ როგორად უნდა იქმნეს გამოშვებული ეს ობლიგაციები, ინგლისის დელეგაცია მოითხოვდა ბრიტანეთის ვალიუტას, ხოლო დანარჩენი ოთხი მოკავშირე დელეგაცია მოითხოვდა ობლიგაციის გამოშვებას სხვა უცხოელ ვალიუტაში.

კერძო ვალების შესახებ, „მორნინგ პოსტის“ სიტყვით, კონფერენციამ განიხილა სხვა და სხვა საშუალებანი ანაზღაურებლად უცხოელ კრედიტორების სესხისა.

ამასთან კონფერენციას მოუხდება ისეთი რთული ამოცანების გადაწყვეტა, როგორიცაა არ დაშვება ისეთი პრეტენზიების დაკმაყოფილებისა, როგორც

ახალი მოძღვრების შემოტანა ჩვენს ქვეყანაში.

ამ დიდ, ისტორიულ საფლავზე ეგნატეს თანამშრომელნი, ამხანაგ-მეგობრები გულწრფელად ეზიარენ ახალ მოძღვრების საიდუმლოებით და ერთი მეორესაც მისცეს „ფიცი მტკიცი“, რომ არ უმტყუნებდენ ამ დიდ მოძღვრებას და, თუ საჭიროც იქნებოდა, თავსაც შესწირავდენ და... ივლიდენ გაბედულად და ვაჟკაცურად მომავალი ბედნიერების კარებამდი.

და ამ წყვდიადით მოცულ დროშიაც ეგნატეს საფლავი მუდამ განუწყვეტელად ახსოვდა ქართველ დემოკრატიას და მესამე დასს. იგი ხშირადაც იგონებდა მას, იკრიბებოდა ამ დაუვიწყარი საფლავის გარეშემო, ძვირფასი ძეგლიც აუგო და შეამკო მისი საფლავი და მხოლოდ და მარტო ერთსა და იმავე ფიცს განამტკიცებდა.

და, აი, ახლა, ამ მაისის დღესაც, როცა შევუდექი მთაწმინდის აღმართს, რაღაც ახლოს ვგძენი წარსული დრო, ეგნატეს სახეც ცოცხლათ წარმომიდგა წინ. იგი, ვით პირველი მერცხალი ჩვენი დემოკრატიისა და ახალ-თაობისა, ჩემს გულსა და მახსოვრობაში მკაფიოდ და ღრმად დაიხატა და იმაზე ორიოდე სიტყვით ეს ჩემი მოგონებაც დავაწერე და ჩემს შვენიერს მკითხველს... ვუფეშქაშე *).

ხომლელი.

---

*) ეს მოგონება დაწერა ავტორმა 1921 წ. მაისში. რედ.

მიგამართავ იტალიელ კრედიტორებისა რუსეთში არსებული ქონებით, რომელიც წინად ეკუთნოდა საფრანგეთის კრედიტორებს და სხვა..

იტალიის თვალთახედვა ბრიტანეთის მემორანდუმის შემდეგ, კონფერენციის განსახილველად წარმოდგენილი იქმნა იტალიის მემორანდუმი, რომელიც აგრეთვე მიძღვნილი იყო ვაჭრობის აღდგენის საკითხისადმი. ამასთან ერთად „ტაიმსი" გადმოგვცემს: როგორც ჩანს იტალია სთვლის უმთავრეს საქმედ ვაჭრობის აღდგენას რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან.

„დეილი ტელეგრაფი" იძლევა შემდეგ ცნობას: „იტალიის მემორანდუმი ყურადღებას იპყრობს უფრო შესაფერ საშუალებებზე რუსეთთან ნორმალური საეკონომიო დამოკიდებულების აღსადგენად. ინგლისელებთან შეთანხმებით იტალიელები რჩევას იძლევიან ზედმეტი შევიწროების თავის ანებებას და ნუ მოითხოვენ რუსეთისგან იმ გარანტიებს, რომელიც წარმოადგენდეს მისი სუვერენული უფლების დარღვევას. სასამართლოს გარანტიის სფეროში საკმარისი იქნება სამედიატორო სასამართლოს სისტემის მიღება.

იტალიის ექსპერტებმა ამას გარდა გამოიტანეს მთელი წყება საგანგებო წინადადებებით მიმართული საქონლის გაცვლა-გამოცვლის წასახალისებლად, როგორც მაგალითად გაგზავნა ტექნიკური და სხვა სპეციალური მისიებისა რუსეთში. ამავე დროს იტალიელები როგორც ინგლისელები წინაამდეგ საფრანგეთისა, მიდრეკილი არიან თავიდან აიშორონ ზედმეტი ფორმალიზმი.

საფრანგეთისა და ბელგიის მემორანდუმი. იტალიის მემორანდუმის მოსმენის და განხილვის შემდეგ, კონფერენციაზე განსახილველად შეტანილი იქნება ფრანკ-ბელგიელთა მემორანდუმი, რომელიც დაკავშირებულია რუსეთის მრეწველობის აღდგენის საკითხთან. საეჭვოა, რომ კონფერენციაზე მიღებულ იქმნას რაიმე საერთო გადაწყვეტილება. „ლაპარაკიც კი მეტია სწერს „მორნინგ პოსტ" ი, — რომ აქ ჰქონდეს ადგილი, მონაწილეთა სახელმწიფოების ერთ პოლიტიკურ ხაზის გამომუშავებას. გენუაში, ყოველი სახელმწიფო ილაპარაკებს თავისი სახელით. ამ გვარ აზრს გამოსთქვამს „ტაიმსი"-ც „მანჩესტერ გარდიან"-ი სწერს: „დღევანდელ კონფერენციის მიზანი გამოირკვევა, როგორც ფიქრობენ, იმაში დაამტკიცოს, რომ ეროვნულ მოვალეობის პოლიტიკური ცნობა უკვე მომხდარი ფაქტია. მოსალოდნელია; რომ რუსეთი გამოვა კონტრ-პრეტენზიებით, რომელსაც წაუყენებს იგი მოკავშირეებს იმის გამო, რომ ისინი დახმარებას უწევდნენ „კონტრ-რევოლუციონერებს, ამბობენ, რომ საფრანგეთის ექსპერტებს განზრახვა აქვთ ამ პრეტენზიებს უპასუხონ — შეზღუდული ზარალის ანაზღაურებით, რომელთაც მიაყენეს მოკავშირეებს ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთთან სეპარატიულ ზავის დადების დროს. თუმცა, ხმა მაღლა ამის შესახებ საფრანგეთის ექსპერტები ჯერ არ ლაპარაკობენ, მათ კარგად ესმით, რომ ამ შემთხვევაში, ენერგიული ოპოზიცია დახვდებათ ინგლისის და იტალიის დელეგატების მხრივ. გაზეთი „დეილი ჰერალდი" რომელიც მეტად სკეპტიკურად უყურებს ექსპერტთა კონფერენციას, ამბობს, რომ ექსპერტების სხვა და სხვა გადაწყვეტილებებისა და განზრახვების ამბებს განგებ ავრცელებენ პროვოკაციის მიზნით და, ამიტომ მას ყურადღება არ უნდა მიექცეს.

ახალი ამბები

— ქუთაისის ცხოვრებიდან. ქალ. ქუთაისის მმაჩ—ის განყოფილებაში 1 იანვრიდან 1 აპრილამდე 1922 წ. სამი თვის განმავლობაში, შესრულდა შემდეგი მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტები. დაიბადებულთა 152, გარდაცვლილთა 250, დაქორწინებულთა 90, განქორწინებულთა 14. გარდაიცვალა: 0—1 წლის 32, 1—10 წლის 28; 10—20 წლის 21, 20—30 წლის 22, 30—40 წლის 21, 40—50 წლის 19, 50—60 წლის 27, 60—70 წლის 23, 70—80 წლის 33, 80—100 წლის 24.

შეცდომის გასწორება

ამხ. სერ. ამაღლობელის წერილში „რევოლუცია და ეროვნება" არის შემდეგი კორექტურული შეცდომა, სწერია—„ასეთია კონკრეტად პოლიტიკური საქმე მე-19 საუკუნის პირველი წლებისა"; უნდა იყოს „მე 20 საუკუნის პირველი წლებისა".

საქ. სახ. კომ. საბჭოს საინფორმაციო განყოფილების ბიულეტენი

სახალხო კომისართა საბჭოში

გაუქმებულ დაწესებულებათა ავეჯეულობის აღრიცხვა. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მიანდოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს მოახდინოს გაუქმებულ დაწესებულებათა ავეჯეულობის აღრიცხვა, რისთვისაც შედგენილი იქმნას ცალკე კომისია, რომელშიაც შევლენ დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

სახალხო ნოტარიუსთა შტატი. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა იუსტიციის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა სახალხო ნოტარიუსთა შტატის 18 კაცით გადიდების შესახებ იმ პირობით, რომ აღნიშნულ თანამშრომელთა შენახვა მოხდეს იუსტიციის სახალხო კომისარიატის დამტკიცებულ ძირითად შტატის ხარჯზე.

კომუნალური სამსახური. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა წინადადება მისცეს ტფილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს, რათა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წ. მარტის 23-ს დადგენილება კომუნალური სამსახურისათვის ფასის გადახდის შესახებ ყველა მოსამსახურეთა მიერ, განურჩევლად სახელმწიფო დაწესებულების და წარმოების, როგორც საქალაქო, ისე სამხედრო უწყებისა მოყვანილ იქმნას სისრულეში მიმდინარე წლის აპრილის პირველიდან.

გორის მაზრაში.

ყაჩაღის მოკვლა. გორიდან სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგს ატყობინებენ: ღამით 28 მარტს სად. ბორჯომში გორის მაზრის პოლიტბიუროს თანამშრომლებს, რომელთაც მოყავდათ დატუსაღებული ყაჩაღი „პოტია" სახელწოდებით, თავს დაესხათ ოცი კაცისაგან შემდგარი შეიარაღებული ბრბო და ატეხა სროლა. ავაზაკებს სროლითვე უპასუხეს, რომლის დროს მოკლულ იქმნა ბრბოს მეთაური ცნობილი ყაჩაღი გაკნიძე. ყაჩაღმა „პოტიამ" ისარგებლა რა არეულობით, მიასწრო გაქცევა.

რაჭის მაზრაში.

სოფ. გადიშის დანგრევა. სოფ. გადიშის დანგრევის შესახებ დაწვრილებით შემდეგს იტყობინებიან: 23 მარტს ღამე დაინგრა მთელი სოფლის სამი მეოთხედი; 70 ოჯახიდან გადარჩა მხოლოდ 20 ოჯახი, დანარჩენი მეწყერმა დაანგრია და მიაქვს რიონისაკენ. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. ზარალი ძალიან დიდია. სახლები სრულიად დამსხვრეულია და მცხოვრებნი უბინაოდ არიან დარჩენილნი. მიღებულია ზომები მათთვის ბინის გამოსანახად. უპირველესად ყოვლისა საჭიროა სურსათით დახმარება.

თიანეთის მაზრა.

სკოლების შეკეთება. თიანეთის მაზრის აღმასკომმა წინადადება მისცა თემის აღმასკომებს და მილიციის უფროსებს აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება მასწავლებლებს როგორც შეშით, ისე სკოლების შეკეთებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

სახალხო მოსამართლეთა სია. თიანეთის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა იუსტიციის განყოფილების მიერ წარმოდგენილი მაზრის სახალხო მოსამართლეთა სია 275 კაცისაგან შემდგარი.

ეკონომიური განყოფილების გაუქმება. ვინაიდან მაზრის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ეკონომიურ განყოფილებას სამოქმედო ასპარეზი უკვე აღარ აქვს და მისი შენახვა კი ძვირი ჯდება, პრეზიდიუმმა დაადგინა გაუქმებული იქმნას აღნიშნული განყოფილება და ამის შესახებ ეცნობოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს.

თოიძის სტუდია

ვისაც სურს იგრძნოს შემოქმედების ცეცხლული მხატვრობა, ვისაც სურს საიდუმლოდ ჩასწვდეს ფერების საიდუმლოებას. მან უსათუოდ უნდა ინახულოს მოსე თოიძის სამხატვრო სტუდია (ნიკოლოზის ქ. 9).

რაც უნდა გულგატეხილი იყვეს კაცი უიმედობით და მოღლილი დღევანდელი ნერვიულობით — იგი მოსე თოიძის სტუდიაში იგრძნობს სიცოცხლეს, ხალისს, სიყვარულს.

მოსე თოიძის სტუდიაში პირველად ნახავთ ქართველ ახალგაზრდობას სხვათა ხელოვნებით გატაცებულს: ახალგაზრდა მხატვარნი სულგანაბული მისჩერებიან ცოცხალ ნატურის დაკვირვებით იხატება სურათი ზოგი ნახშირით და ზოგი ფერებით: კეთილშობილი მოგონებათ დაგრჩა ის განცდა, როცა უმშვენიერესი ყალმით ნავარჯიშევ შიშველ ადამიანის პლასტიურ ნაკვთებს.

ამ სტუდიაში უფრო საინტერესო ის არის, რომ აქ ერთად ხატვენ მასწავლებელიც და შაგირდებიც; მათ შორის ხატავს აგრეთვე თვით სტუდიის ხელმძღვანელი მოსე თოიძეც, რომელიც ცოცხალ მაგალითად გადადის ყველაში.

მოსე თოიძე ერთი ძლიერი წარმომადგენელია, იმ ლამაზ გრძნობებით გატაცებულ ხალხის, რომელიც ხატავს ყოველ გვარ დამარცხებას, უსამართლობას, გაჭირვებას და იმედის თვალით უმზერს ცხოვრებას თვალებში, ჩვენი ხელოვნების კიდეს ერთი სასარგებლო საფუძველი მიემატა—მოსე თოიძის სტუდია. თუმცა ინიციატორებს, როგორც ჩანს, არაფერი დაუზოგავს საქმის კეთილად წაყვანისთვის, მაგრამ მოსწავლეთა უმრავლესობა, როგორც ეს გადმომცეს, ღარიბები არიან, (მათ შორის მოულოდნელად ნიჭიერებიც ურევიან.) და ამის გამო შემოსავალი ხარჯს ვერ ფარავს თურმე. შეუძლებელია მთავრობის ან ქალაქის დაუხმარებლად ამ საქმის გაძლიერება.

ვუსურვებთ წინსვლას და განვითარებას ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს, იმედია მთავრობა, რომელიც ხელოვნებას თანაუგრძნობს, მოუვლის მოსე თოიძის სტუდიასაც, იმ სტუდიას, სადაც ხელმოკლე ხელოვანი მოწაფე თუ მასწავლებელი, თავისუფლად ავითარებს თავის ნიჭს წმინდა ხელოვნების სადიდებლად.

ფარუხა.

თეატრი და ხელოვნება

სახელმწიფო საოპერო თეატრი.

ო. შულგინას.

იუბილე.

მხურვალედ და დიდი ზეიმით გადახდილი იქნა ა/წ. აპრილის 2-ს ნიჭიერი მომღერლის და მსახიობის შულგინას (ბახუტაშვილის) 20 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილე:

სახელმწიფო საოპერო თეატრის დარბაზი სავსე, იუბილიარის მხურვალე მილოცვა — აი გარეგანი სახე აპრილის 2-ის ოპერის.

მე უკვე აღვნიშნე, რომ მომღერალმა ტფილისში შექმნა M-me ბატერფლეის პარტია და იგი მართლაც რომ სავსებით დამუშავებულია მომღერლის მიერ, შექმნა თითქო მისივე მონოპოლიათ. ამ ჯერადაც მსახიობმა სრული თანაგრძნობა პოვა საცოდავ იაპონელ ქალის ჩიო-ჩიო-სან-ის მდგომარეობის გადმოცემით, რომელმაც ისე გულწრფელად და პირველად შეიყვარა და ისე სასტიკად იქნა მოტყუებული.

მოქ. შულგინა დიდი მომღერალია, და ამიტომ არ ემჩნეოდა ხმის დეფექტები, რომელზედაც დრომ თავის გავლენა იქონია.

მეზღვაურის პინკერტონის პარტია მუსიკალურად შეასრულა მოქ. ზალიპსკიმ. მაგრამ სცენიური განსახიერების მხრივ სცენაზე იყო არა ამერიკელი პინკერტონი, არამედ ძველი ნაცნობი ზალიპსკი. ამ ბოლო ხანებში მომღერალი თან და თან ნაკლებ ყურადღებას აქცევს პარტიის დრამატიულ მხარეს რაც ვნებს მხატვრულს.

სუზუკის (ჩიო-ჩიო-სან-ის მსახური) პარტია მუსიკალურად შეასრულა იუბილიარის მოწაფემ მოქ. რუდნიკომ.

მოქ. შულგინას, როგორც წარმოდგენის დროს, ისე მის გათავების შემდეგაც, ხვდებოდნენ ოვაციებით და აღფრთოვანებით.

წარმოდგენის შემდეგ შესდგა მილოცვები. მიულოცეს მსახიობებმა, კერძო არტისტიული და მუსიკალური კორპორაციებმა და პრესმა მუსიკალური წრეებიდან. გულწრფელი იყო საოპერო დასის მილოცვა სტაროსტინის მიერ წაკითხული, მხურვალე და გრძნობით მიულოცა იუბილიარს მცხოვანმა ვასო აბაშიძემ.

სახელმწიფო I კონსერვატორიის სახელით მიულოცა ამავე კონსერვატორიის ინსპექტორმა მოქ. ჩემოდანოვმა. შესრულებული იქნა მუსიკალური ნომრებიც. მოკლედ მიულოცა სახელმწიფო 2 კონსერვატორიის დირექტორმა არაყიშვილმა, რუსულ დრამატიული დასის წარმომადგენელმა მოქ. ერმოლოვ—ბიროზინმა.

პ. ბ.

მოწერილი ამბები

სიმშილის სამეფოდან

ამას წინათ (გაზ. ტრიბუნის 149 ნ°) ვწერდით იმ უმწეო მდგომარეობაზე, რომელსაც ადგილი აქვს წელს ქუთაისის მაზრაში საერთოდ და, კერძოდ, საყულის თემში, წლევანდელ მოუსავლობის გამო და საკმაო საბუთებიც წარმოვაყენეთ ჩვენი მდგომარეობის გასამუქებლად.

ასეთივე საბუთებით მივმართეთ ჯერ კიდევ თებერვლის პირველ რიცხვებში სახ. სასურსათო კომისარიატს, რომელსაც დახმარებას ვთხოვდით, (ზუგდიდის მაზრიდან სიმინდის გამოტანის ნებართვისა და ვაგონის მიცემას), მაგრამ თანახმად კომპარტიის ყრილობის დადგენილებისა, ზრუნვა დამშეულ რაიონებზე ადგილობრივ სამაზრო ხელისუფლებას დაევალა. ჩვენი ქაღალდებიც ქუთაისის სამაზრო კომისარს გადუგზავნეს—მიჰმართეთო დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტსაცო, მაგრამ ვინაიდან არ ვეყავით ჩარიცხული დამშეულ რაიონთა სიაში, მანაც ქუთაისში გაგზავნა სამაზრო კომიტეტთან.

სამაზრო კომიტეტი კი უნდა ითქვას სამწუხაროდ, ძალიან სუსტად მოქმედებენ და, ნებსით თუ უნებლიეთ დღემდე, ხსენებულ თემს არ მიეღო არც ერთი ბათმანი სიმინდი, არც ნებართვა და ვაგონი და მიუხედავად ჩვენი უკიდურესი გაჭირვებისა, დამწვარზე მდუღარეს გვასხამენ და ნაცვლად დახმარებისა და მეგობრულად ხელის გამოწვდისა, ათასგვარ გადასახადით სულს გვიხუთავენ.

არა ერთხელ ვითხოვეთ სასურსათო გადასახადის შეჩერება მომავალ მოსავლამდე, არა ერთხელ მივმართეთ ადგილობრივ მთავრობას, რომ არ წაერთმიათ გურია სამეგრელოდან თითო ფუთობით მიტანილი სიმინდი, მაგრამ ხმა ჩვენი რჩებოდა, „ხმად მღაღადებელისა". დღეს მილიციით უნდათ გადასახადების აკრეფა.

რაშია საქმე? გაზეთებს რომ გადავათვალიერებთ, იმედი აღგვეძვრება, გული გვინათლდება, ასე გვგონია თუ, ყველა დამშეულებზე ფიქრობს, ყველა თავის ლამაზ პროექტს აღგენს ასასრულებლად, ხოლო საქმეს თუ დაუახლოვდებით, სინამდვილეს გადახედავ, თვალწინ დაგიდგება ერთი მხრით ნახევრად შიშველ-ტიტველი, გაძვალტყავებული ჩაყვითლებული [illegible] და მეორე მხრივ „საერთაშორისო რევოლუციათა" და ფართო მცნებით დაინტერესებული პროვინციის მთავრობა, რომელიც ყველაფერს ადვილად ხსნის „გარდამავალი ხანის" ხსენებით.

რაშია დამნაშავე ქუთაისის მაზრაში ყველაზე უფრო დამშეული საყულიის თემი, რომ ის არ გახდა არა თუ არავითარ დახმარების ღირსი, არამედ დამშეულადაც ცნობილი? პირველ ხანებში ამის ახსნა შეიძლებოდა მოუწყობელ სტატისტიკურ განყოფილების ცნობათა უქონლობის გამო, მაგრამ დღეს ხომ ხელში აქვთ უტყუარი ცნობები იმისა, რომ ხსენებულ თემს 4736 სული განიცდის უკიდურეს გაჭირვებას და გამოუსავალ მდგომარეობაშია. მცხოვრებთა ორ-მესამედს უკვე აღარა ყავს ხარ-კამეჩი და ძროხა და ცხენზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, რადგან სიმშილმა, უსიმინდობამ და უჩალობამ იძულებულ გვყო მოგვეჭრა მარჯვენა და გაგვეყიდა ყოველივე, რის მოცილებაც შეიძლებოდა.

დღეს რაღა ვქნათ! გაზაფხული მოვიდა, თესვას უნდა შევუდგეთ, ჩვენ კი არც სათესლე სიმინდი გვაქვს და არც საკმაო კამეჩი გვყავს.

ჩვენზე არავინ ფიქრობს და თუ ფიქრობს, საქმით მაინც არასფერს აკეთებს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ საქართველოს მშრომელთა ხელისუფლება მონდომებულია გაგვიწიოს შეძლებისდაგვარი დახმარება, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება აჩენს აქ დაუდევრობას, რომელიც უთუოდ დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს მათ.

ჩვენი მდგომარეობის გაუთვალისწინებლობა, ჩვენი ინტერესების აბუჩად აგდება, არავის არ ეპატიება და მით უმეტეს მას, ვის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ყველა ამაზე ზრუნვა.

ზემოხსენებულ საყულიის თემის უმწეო მდგომარეობის დასამტკიცებლად საკმაო საბუთები არის სათანადო დაწესებულებებში მაგ. საერთო ყრილობისა, რევკომისა და ადგ. კომაჩეიკის შეერთებული სხდომის [illegible] რევკომისა კომისარის საბჭოს. [illegible] შესახებ [illegible] მდგომარეობისა და [illegible] რით მოგვეცეს სათესლე სიმინდი (დაახლოვებით 4.000 ფუთია საჭირო) რის მოსავალს კარგი პირი უჩანს ყოველივეს გვეისტუმრებოთ.

ჩვენ დღეს გვინდა დახმარება და მოგვიწოდეთ ხელი, თორემ ასეთი ლოტიკით მთავრობა ცალდება ხელ უფლებას, და თუ დღის ყოველ პირს გასავალი აქვს ჩვენში, ხვალ ნტიურებსაც ექნება ადგილი და ეს გვაქცევს ჩვენც და ხელს შეუშლის მშენებლობითი მუშაობაში მშრომელ ხელისუფლებას.

საქმე, გვინდა და არა ლიტონი ს ყვა. საქმით დაგვეხმარეთ უნდა სოფ და მიეხედოთ, რომ ყოველმა ხელის ლებამ, ვისაც სურს საქართველოში მაგრება და მკვიდრობა, უნდა ჩ სოფელი, გლეხობა გაიხადოს დას დენ ბაზათ.

ჯერ არის მოგვექცის ყურადღება ჩვენც მეტს არას ვითხოვთ.

ნა—ძ

პასუხად სტუდ. სოციალ უზრუნველყოფის კომის წევრს

ჩემს წერილს, რომელიც ეხებ სტუდენტთა სოციალურ უზრუნველ ფის კომისიის მოქმედებას, უკით ვსთქვით, მის უმოქმედობას, გამოე რა იმავე კომისიის წევრი სტ. ს. ტაძე. როგორც მოსალოდნელი ბახტაძემ, რასაკვირველია, ვერა სთქვა ზემოხსენებული კომისიის სა გებლოდ. მან აღნიშნა, რომ კომი მოვალეობას შეადგენდა:

1) ულარიბეს სტუდენტთა აღრი რაც ერთი თვის განმავლობაში და ვრებულ იქნა და 2) სტ. სასად თვის და საერთოდ სტ. კავშირისა ზომების გამონახვა.

„ერთი ნაწილი თავის მოვალეო კომისიამ პირნათლად შეასრულა", გორც ამბობს მოქ. ბახტაძე: განათ ბის კომისარიატს უკვე გადაეცემ აქვს ულარიბეს სტუდენტთა სია. შეეხება სტუდ. სასადილოზე მზრუ ლობას, ყუთესი იყო ამის შესახებ ბახტაძეს არაფერი ეთქვა. თუ რომ იყო სოც. უზრუნველყოფის კომი [illegible] რომ სასადილოში სადილე ხევრად შეწყვეტილი; ხორცი კვი ორჯერ თუ მოგვცეს, დიდი მედინ ბაა (ესეც სტუდენტთა საბჭოს მეშ ბის შედეგია), სასადილოს მოსამს რეთ დეკემბრის თვის ჯამაგირები რაც არ აქვთ მიღებული—ერთი ს ვით, საშინელ უნუგეშო მდგომარე შია სტუდ. სასადილო.

ამისათვის დანიშნა განათლების მისარიატმა ეს კომისია? უკვე მ თვე დაიწყო, რაც არსებობს განათ ბის კომისარიატთან ეს კომისია. დავალებულს აძლევდა კომისარიატი მისიას ორხი თვის განმავლობაში დღის 9 საათიდან 3 საათამდე?

რა შექმნა რეალურად განათლ კომისარიატმა სტ. უზრუნველყოფის მისიის სახით სტუდენტობისათვის ხნის განმავლობაში? სანამდე იარსე ეს კომისია? თუ განათლების კომ რიატიდან არ არის დამოკიდებულ სტუდენტთა უზრუნველყოფა, როგო ამას ბახტაძე ბრძანებს, რაღა დანი მან ეს კომისია და ეხლა მაინც რაღ აკეთებს?

ამნაირად ჩემი ნათქვამი „მარ ლიტონი სიტყვები" როდი ყოფი მოქ. ბახტაძევ?

მე აღვნიშნე ფაქტი, რომელიც გა ბათილებლად თქვენ ძლიერ უძლ გამოდექით!

თუ რა „დიდი პრინციპის პატრონ ვარ, ჩემს ყოფილ ამხანაგებს (აღმ მემარჯვენეებს) სცოდნიათ, როგო მოქ. ბახტაძე ბრძანებს. მაგრამ შუაშია აქ ან ყოფილი ამხანაგები, „დიდი პრინციპები"—ჩემთვის ს ლიად გაუგებარია.

მოქ. ბახტაძემ უნდა იცოდეს, მისი პიროვნება ჩემთვის სრულიად არის საინტერესო, ვუპასუხებ კი იმ ნად, რამდენად ის არის ოფიციალ რად სტუდ. სოც. უზრუნველყოფის მისიის წევრი.

ნ. მარგველაშვილ

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგი
გამომცემელი— მთავარი კომიტე

ტირაჟი 500
საქართვ. კომუნისტურ პარტიის ცენ. კომიტ. სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა, 4.
ნ. დ. ს. ც.